

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 34 00
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა;

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა, (34 01).

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი, ტერიტორიული ორგანოები.

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა (ათას ლარებში)	წლიური დაზუსტებული მოცულობა (ათას ლარებში)	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება (ათას ლარებში)	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	8 903.0	9 241. 4	5 109.2	52.3%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მობილურობის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 231-მდე დაბრუნებულმა მიგრანტმა, მათ შორის: 25 ბენეფიციარს დაუფინანსდა სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, პროფესიული სწავლება დაუფინანსდა 22 ბენეფიციარს, 106-მა დაბრუნებულმა მიგრანტმა მიიღო მცირე ბიზნეს-გრანტი, ხოლო თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით საჭირო ხელსაწყოებით უზრუნველყოფილ იქნა 42 ბენეფიციარი,

დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა დაუფინანსდა 8 ბენეფიციარს, ხოლო საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა - 28 ბენეფიციარს.

საანგარიშო პერიოდში მობილურობის ცენტრის მიგრანტთა ინფორმირებისა და კონსულტაციის განყოფილების მიერ საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 34 საინფორმაციო შეხვედრა, ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში, ქ. თელავსა და სხვა რეგიონებში, სადაც მიგრაციის თემით დაინტერესებულ მოქალაქეებს მიეწოდათ სანდო და უახლესი ინფორმაცია სხვადასხვა საკითხებზე, როგორცაა ლეგალური დასაქმების შესაძლებლობები და მათი სანდოობა საზღვარგარეთ, სავიზო პროცედურები და უცხო ქვეყანაში ცხოვრების წესები, სწავლა საზღვარგარეთ და გაცვლითი პროგრამები, მუდმივი ბინადრობა და თავშესაფარი, მიგრანტთა უფლებები, ტრეფიკინგის საფრთხეები, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები და მათი პრევენცია და ასევე ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე სარეინტეგრაციო პროგრამის შესახებ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში გასცა გრანტი არასამთავრობო ორგანიზაციებზე 14 მიმართულებით. აღნიშნული პროგრამა მოიცავს სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსებას, პროფესიულ სწავლებას, სოციალური პროექტების დაფინანსებას, ანაზღაურებად სტაჟირებას, იურიდიულ დახმარებასა და საზოგადოების ინფორმირებულობის პროგრამების დაფინანსებას. სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამა ფარავს ქ.თბილისს, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს. „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამას ახორციელებენ შემდეგი ორგანიზაციები: ა(ა)იპ „მიგრაციის, ინტეგრაციისა და განვითარების საერთაშორისო გაერთიანება“, ა(ა)იპ „საზოგადოებრივი დამცველი“, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, ა(ა)იპ „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ და ა(ა)იპ „ვიპიარ ჯგუფი“.

საანგარიშო პერიოდში საცხოვრებელი სახლის მოძიების განაცხადით სამინისტროს მომართა 418-მა სტიქიით დაზარალებულმა ოჯახმა, აღნიშნული ოჯახების დაზარალების დადგენის მიზნით წერილობითი მოთხოვნა დაეგზავნა მუნიციპალიტეტების გამგეობებს. სამინისტროში არსებული განაცხადების შეფასების შემდეგ, მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ დაკმაყოფილების მიზნით შეარჩია 71 ოჯახი, რომელთაც მიეცათ ერთთვიანი ვადა, რათა მათი საჭიროებების გათვალისწინებით მოეძებნათ საცხოვრებელი სახლი და ინფორმაცია წარმოედგინათ სამინისტროში. ამ ეტაპისათვის დაზარალებული ოჯახებისათვის შესყიდული იქნა 29 საცხოვრებელი სახლი. ასევე, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში დაზარალებული ოჯახებისათვის შეძენილი იქნა 22 საცხოვრებელი სახლი.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროში განსახილველად შემოვიდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა 420 აპლიკაცია 660 პირზე. შემოსული აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი

მიენიჭა 576 პირს, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 59 პირს, ხოლო თავშესაფრის (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი) მინიჭებაზე უარი განეცხადა 127 პირს. საქმის წარმოება პირადი განცხადების საფუძველზე შეწყდა 259 პირზე, ხოლო პროცედურებზე გამოუცხადებლობის გამო - 300 პირზე.

საანგარიშო პერიოდში შევსებულია დევნილთა უძრავის ქონების 46 დეკლარაცია. მოხდა 85 შევსებულ დეკლარაციაში ჩამატებების შეტანა. მიმდინარეობს უძრავი ქონების დეკლარაციების მონაცემთა ბაზის ინტეგრაციისათვის ტექნიკური სპეციფიკაციების შესწავლა-შეჯერება და დევნილთა მონაცემთა ბაზასთან ინტეგრაციის პროცესი. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის მიმდინარეობს წარმოსადგენი გვერდის ტესტირება.

მარტყოფში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განხორციელდა ობიექტის დაცვის მომსახურების შესყიდვა და დაფინანსდა ცენტრის კომუნალური ხარჯები. ასევე, თავშესაფრის მაძიებელთა საქმეების განხილვის უზრუნველსაყოფად განხორციელდა თარჯიმნის მომსახურების შესყიდვა.

1.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, (34 02).

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	61 097.0	62 784.4	23 681.5	37.7%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

„იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში

გადაცემა, რომლის ფარგლებში გადამოწმდა 359 ობიექტი, აღწერილ იქნა 5307 ოჯახი. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე მასალები მომზადდა და გადაიგზავნა 3348 ოჯახზე. საკუთრებაში ბინები გადაეცა 1463 ოჯახს.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. N2-ში და ქ. ზგდიდში, რ. ლალიძის ქ. N4-ში ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა 411 ოჯახი, ქ. კასპში, სააკაძის ქ. N110-ში (ყოფილი საავადმყოფო) და ქარელში, ვაჟა - ფშაველას ქ. N117-ში (ყოფილი პროფტექნიკუმი) მდებარე რეაბილიტირებულ შენობებში - 36 ოჯახი, ქ. ფოთში, მალთაყვის ახალ აშენებულ და ფიროსმანის ქ. N9-ში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში - 4 ოჯახი, ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფელში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში - 42 ოჯახი, ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. N113-ში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში - 30 ოჯახი, ქუთაისში, შმიდტის ქ. N2-ში მდებარე, მენაშენეებისგან გამოსყიდულ ახალაშენებულ კორპუსში - 35 ოჯახი, ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. N2-ში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში - 8 ოჯახი;

სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 1548 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 571 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);

განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული: 5 ობიექტის გამოსყიდვა - სულ 63 ბინა;

2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად 5 549 დევნილი ოჯახისთვის იანვარსა და თებერვალში მოხმარებული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველთვიური ლიმიტი განისაზღვრა 50 ლარით;

რეაბილიტირებულ ობიექტებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე განხორციელდა ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა.

სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 96 ობიექტს ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერჯის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის, წყლის, სანიაღვრე და სავენტილაციო სისტემების მიერთება- მოწყობისა და სახურავის გადახურვის სამუშაოები.

თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების შესყიდვა;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, შეძენილ იქნა ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 136 საცხოვრებელი სახლი და ქ. თბილისში, ისნის რაიონში, თვალჭრელიძის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობა.

მიმდინარეობს მენაშენეებისგან საცხოვრებელი ბინების შეძენა ქ. თბილისში: ც. დადიანის ქ. N7-ში, კალაუბნის ქ. N22-ში, დიდი დიღმის I მიკრო რაიონში, დოდაშვილის ქ. N22/18-ში, კაიროს ქ. N320-ში, ქ. ქუთაისში, ერისთავის

ქ. N7-ში, ქ. ბორჯომში, მესხეთის ქ. N33-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან. ასევე, ახლადშენებულ კორპუსებში, ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“. ასევე, მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში და ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე.

დასრულდა ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. N113-ში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა ეწერში კოტეჯი N5-ის, ქ. მცხეთაში: სოფ. წინამძღვრიანთკარში (პროფტექნიკუმის შენობა) N1, N2, N3 კორპუსების, აღმაშენებლის ქ. N21-ში (სასტუმრო მცხეთა), ქ. თელავში, სოხუმის ქუჩაზე (ყოფილი გვარდიის შენობა), ქ. ბოლნისში, აღმაშენებლის ქ. N4-ში (ყოფილი გეოლოგების ს/ს), ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში, ქ. თბილისში: ფეიქრების ქ. N8-ში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, კადეტთა N1, N5 და N6 კორპუსების, ჟორესის ქ. N7ა-ში (ავტოსარემონტო საწარმო) და N13-ში (საქგაზმშენის შენობა), წყნეთი მ. წყნეთელის შესახვევში, კოტეჯი N19-ის, წმინდა ბარბარეს ქ. N29-ში, ერისთავის ჩიხში (ტექნოსერვისის შენობა), ვარკეთილის N3ა-ში 327-ე კორპუსის, უნივერსიტეტის ქ. N6-ში (ყოფილი სასტუმრო „ამირანი“) მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიმდინარეობს: ქ. ხაშურში, სააკაძის ქუჩა N2-ში, ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე, ქ. თბილისში: ფონიჭალის III მ/რ-ში, თემქის დასახლება III მ/რ-ის IV კვარტალში, ერისთავის ჩიხი N1-ში, წმ. ბარბარეს ქ. N19-ში, ჯიქიას ქ. N5-ში მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.